1 ბუნება კლასი

ხათუნა გოგალაძე

მოსწავლის წიგნი

infotriasi@gmail.com
www.triasi.ge

სამკალი
გამომცემლობა

„თავისუფლება”

ლექსი: დავით მაღრაძის
მუსიკა: ზაქარია ფალიაშვილის
ჰიმნად დაამუშავა: იოსებ კეჭაყმაძემ

ჩემი ხატია სამშობლო,
სახატე მთელი ქვეყანა,
განათებული მთა-ბარი,
წილნაყარია ღმერთთანა.
თავისუფლება დღეს ჩვენი
მომავალს უმღერს დიდებას,
ცისკრის ვარსკვლავი ამოდის
ამოდის და ორ ზღვას შუა ბრწყინდება,
დიდება თავისუფლებას,
თავისუფლებას დიდება.

ბუნება

1 კლასი

მოსწავლის წიგნი

ხათუნა გოგალაძე

„გრიფმინიჭებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ 2023 წელს“

ᲡᲐᲠᲘᲔᲚᲘ

2023

ბუნება

1 კლასი

მოსწავლის წიგნი

ავტორი: **ხათუნა გოგალაძე**

დიზაინი და კომპ. უზრუნველყოფა: **ნინო ვეშაგური**
კორექტურა: **ცისანა კურტანიძე**

გამომცემლობა „ტრიასი"
თბილისი, რობაქიძის გამზირი 7.
ტელ: +995 557 49 21 21
www.triasi.ge
Email: infotriasi@gmail.com

I გამოცემა

2023 წელი

© გამომცემლობა „ტრიასი"

ISBN 978-9941-9623- 2-5

სარჩევი

თემა 1
სახლი და სკოლა, როგორც გარემო

1.1 ჩემი სკოლა 8
1.2 სასკოლო ნივთები 10
1.3 ვეცნობი სკოლას 12
1.4 სკოლიდან სახლამდე 14
1.5 ქუჩაში მოძრაობის წესები 16
1.6 ჩემი სახლი 18
1.7 რა არის სხეული? 20
1.8 ცოცხალი და არაცოცხალი სხეული 22
1.9 ხელოვნური თუ ბუნებრივი? 24
1.10 რისგან მზადდება სხეულები? 26
1.11 როგორ არჩევენ მასალას სხეულის დასამზადებლად? 28
1.12 რას გავიგებ მყარი სხეულების შესახებ? 30
1.13 თუ სხეულები მსგავსია, რომელს ვირჩევ? 32
1.14 სხეულები მოძრაობენ? 34
1.15 მოქაჩვა, ბიძგი და მიწოლა 36

1.16 დღე და ღამე 38
1.17 კვირის დღეები 40
1.18 ჩემი საყვარელი ამინდი 42
1.19 წელიწადის დროები 44
1.20 ცოცხალი ორგანიზმები - მცენარეები, ცხოველები, სოკოები 46



1.20 ცოცხალი ორგანიზმები - მცენარეები, ცხოველები, სოკოები 46
1.21 რომელი ცოცხალი ორგანიზმები გვხვდება სკოლის ეზოში? 52
1.22 რომელი ცოცხალი ორგანიზმები გვხვდება სახლის მიმდებარედ? 54
1.23 რატომ სუფთა გარემო? 56
1.24 როგორ დავიცვათ სისუფთავე შინ და გარეთ? 58
1.25 ჰიგიენის დაცვა 60
შეამოწმე შენი ცოდნა 62

თემა 2
ადამიანი

2.1 ჩემი სხეული 64
2.2 უფროსი, მე და უმცროსი 66
2.3 მარჯვნივ, მარცხნივ, წინ და უკან 68
2.4 შეგრძნების ორგანოები 70
2.5 რაში მეხმარება თვალები? 72
2.6 რაში მეხმარება ყურები? 74
2.7 ყურსასმენი ქუჩაში - ფრთხილად! 76
2.8 რა შემიძლია ყნოსვით? 78
2.9 როგორ აღვიქვამ გემოს? 80
2.10 რა მნიშვნელობა აქვს კანს? 82
2.11 სითბოსა და სიცივის მოქმედება ჩემს სხეულზე 84
2.12 პირადი ჰიგიენა და ჯანმრთელობა 86
2.13 ჩემი პირადი ნივთები 88
2.14 რატომ უნდა ვიცხოვრო სუფთა გარემოში? 90
2.15 რას ვაკეთებ გარემოს დასაცავად? 92
შეამოწმე შენი ცოდნა 94
ლექსიკონი 95
ეკოკალენდარი 100
დანართი 103

პირობითი ნიშნები

ინდივიდუალური სამუშაო

ინდივიდუალური სამუშაო

წყვილებში სამუშაო

ჯგუფური სამუშაო

კითხულობს უფროსი

მოუსმინე აუდიოს

ექსპერიმენტი

დაიმახსოვრე

ინტერნეტრესურსი

დაფიქრდი

დაასკანერე

QR კოდებიდან პირდაპირ ბმულზე გადასვლა შესაძლებელია სმარტფონითა და პლანშეტით. ჩამოტვირთეთ პროგრამა **QR Code Reader.**

Available on the App Store

GET IT ON Google Play

ასევე ბმულების ნახვა შეგიძლიათ დანართში გვ. 103-107

თემა 1

სახლი და სკოლა, როგორც გარემო



1.1 ჩემი სკოლა

დაასკანერე

1.2 სასკოლო ნივთები



სავარჯიშო: დაასკანერე →

1.3 ვეცნობი სკოლას

1.4 სკოლიდან სახლამდე

M
რუსთაველი

მიწისქვეშა მაღლასასვლელი
UNDERGROUND PASSAGE

1.5 ქუჩაში მოძრაობის წესები



1.6 ჩემი სახლი

სავარჯიშო: დაასკანერე →

ააწყვე ფაზლი, დაასახელე ოთახი და აღწერე.

1.7 რა არის სხეული?

ჩვენ ირგვლივ არსებულ ყველა საგანს **სხეული** ეწოდება.

სხეულებს აქვთ განსხვავებული **ზომა, ფორმა, ფერი.**

ზოგი სხეული **მსუბუქია,** ზოგი – **მძიმე.**

შეადარე და აღწერე ერთნაირი დასახელების სხეულები:

1.8 ცოცხალი და არაცოცხალი სხეული

ცოცხალი სხეული **სუნთქავს, იკვებება, იზრდება, მრავლდება.**
არაცოცხალი სხეული **არ სუნთქავს, არ იკვებება, არ მრავლდება.**

აღწერე ფოტოსურათი, დაასახელე როგორც ცოცხალი, ასევე არაცოცხალი სხეულები.

მოუსმინე და გამოიცანი
სწორი წინადადება.
არასწორი გაასწორე.

დაასკანერე

რით განსხვავდება ფოტოებზე მოცემული
სხეულები ერთმანეთისგან?

სავარჯიშო: დაასკანერე

ამოიცანი ცოცხალია თუ არაცოცხალი?

1.9 ხელოვნური თუ ბუნებრივი?

სხეული შეიძლება იყოს **ბუნებრივი** და **ხელოვნური.**

დაასახელე სხეულები:

ეს სხეულები არის ბუნებრივი. ისინი ბუნებაში არსებობენ.

დაასახელე სხეულები:

ეს სხეულები ადამიანის მიერაა დამზადებული და **ხელოვნურია.**

მოიფიქრეთ ბუნებრივი და ხელოვნური სხეულების თითო მაგალითი.

შეადარე ფოტოებზე მოცემული სხეულები ერთმანეთს:

რომელია ხელოვნური და რომელია ბუნებრივი? რატომ ვიყენებთ ამ ხელოვნურ სხეულს?

სავარჯიშო: დაასკანერე →

ამოიცანი ბუნებრივია თუ ხელოვნური?

1.10 რისგან მზადდება სხეულები?

ივარაუდე, რისგანაა დამზადებული ფოტოებზე მოცემული სხეულები:

დაასახელე ფოტოებზე მოცემული სხეულები.

ეს სხეულები **რეზინისგანაა** დამზადებული.

ეს სხეულები **მინისგანაა** დამზადებულ

ეს სხეულები **ქაღალდისგანაა** დამზადებული.

ზოგი სხეული **ორი ან მეტი მასალითაც** მზადდება.

დაიმახსოვრე: ზოგი მასალა **ხელოვნურია,** ზოგი მასალა **ბუნებრივია.**
ხელოვნურ მასალას ადამიანი თავად ქმნის.
ხელოვნური მასალაა: მინა, ქაღალდი, რეზინა და სხვა.
ბუნებრივი მასალაა: ტყავი, მატყლი, ბამბა და სხვა.

მოიფიქრეთ სხეული, რომელიც ხისგანაა დამზადებული.
კიდევ რით შეიძლება დამზადდეს იგივე სხეული?

1.11 როგორ არჩევენ მასალას სხეულის დასამზადებლად?

ჩამოთვალე ფოტოზე მოცემული სხეულის თვისებები.
რა მასალისგანაა დამზადებული?
რატომ გამოიყენეს ეს მასალა?

დაიმახსოვრე: სხეულის დასამზადებლად ყოველთვის არჩევენ შესაბამის მასალას.

დაასკანერე

ხელოვნური სხეულის დასამზადებლად სპეციალურ მასალას არჩევენ. თუ უნდათ, იყოს მაგარი და გამძლე სხეული, გამოიყენებენ მყარ მასალას. მაგალითად: ჭიშკრის დასამზადებლად ზოგჯერ იყენებენ რკინას. თუ უნდათ იყოს მსუბუქი მასალა და ასევე გამძლეც, იყენებენ პლასტმასს. მაგალითად: საყვავილე ქოთანი.

ამოიცანი ის სხეულები, რომლის მასალა სწორადაა შერჩეული მის დასამზადებლად.

არსებობს **გამჭვირვალე** და **არაგამჭვირვალე** მასალები. თუ სხეულები **გამჭვირვალე** მასალისგანაა დამზადებული, ისიც **გამჭვირვალეა.**

ანდრია პატარა მეცნიერია. ის ფიქრობს, რომელი **ძაბრია გამჭვირვალე?** დაეხმარე.
მინა გამჭვირვალეა? მინის სხეულები გამჭვირვალეა?

მარტივი ექსპერიმენტის ჩასატარებლად მოუსმინე.

დაასკანერე →

ივარაუდე: ფოტოებზე მოცემული სხეულებიდან რომელი მათგანი არის **გამჭვირვალე** და რომელი **არაგამჭვირვალე?**

1.12 რას გავიგებ მყარი სხეულების შესახებ?

მყარი სხეული შეიძლება იყოს **რბილი** ან **მაგარი, მსუბუქი** ან **მძიმე, დიდი** ან **პატარა.** ზოგი მყარი სხეული შეგიძლია ხელში დაიჭირო ან შეეხო.

ყველა მყარ სხეულს ფორმა გააჩნია.

მოცემული ფოტოებიდან, რომელი მყარი სხეულების ხელში დაჭერა შეგიძლია? როგორია ის? ივარაუდე, რატომ არ შეგიძლია ყველას ხელში დაჭერა?



ზოგიერთი სხეული **ტივტივებს** ან **იძირება.**

„იძირება თუ ტივტივებს“?

დაასკანერე →

აარჩიეთ ხუთი სხვადასხვა მასალისგან დამზადებული პატარა ზომის **მყარი სხეული.**
თითოეული მათგანი მოათავსე წყლიან თასში. ჯგუფში წინასწარ ივარაუდეთ, რომელი **იძირება** და რომელი **ტივტივებს.** გამართლდა თქვენი ვარაუდი? რას მიხვდით?

დაიმახსოვრე: ხის სხეული ტივტივებს, მინის სხეული იძირება.

1.13 თუ სხეულები მსგავსია, რომელს ვირჩევ?

დააკვირდი სხეულებს. რომელი ოთახისთვის გამოიყენებ თითოეულ მაგიდას?

დაფიქრდი: როდესაც ლაშქრობაზე წახვალ, რომელ ჩანთას გამოიყენებ? ახსენი რატომ?

წვენის დასალევად რომელ ჭიქას გამოიყენებ? რა მასალისგანაა დამზადებული?

დაფიქრდი: რომელი მასალით დამზადებულ ჩანთას გამოიყენებ რამდენჯერმე მაღაზიაში პროდუქტის შესაძენად. რატომ?

დაიმახსოვრე: დაიცავი გარემო და შეარჩიე სხეულები, რომელსაც რამდენჯერმე გამოიყენებ. ამით ნაგვის ყუთში გადასაყრელ სხეულებს შეამცირებ. სხვებსაც ასწავლე.

1.14 სხეულები მოძრაობენ?

ცოცხალი სხეულები დამოუკიდებლად მოძრაობენ. არაცოცხალი სხეულები კი სხვების დახმარებით.

ადამიანი სხეულის გადასაადგილებლად ხშირად იყენებს ძალას.

რა არის საჭირო ფოტოებზე მოცემული სხეულების ასამოძრავებლად?

დაასახელე სხეულები და იმსჯელე, როგორ მოძრაობენ.



სავარჯიშო: დაასკანერე

ააწყვე ფაზლი.
ეს სხეული მოძრავია თუ უძრავი?

1.15 მოქაჩვა, ბიძგი და მიწოლა

ზოგჯერ სხეულები ერთმანეთზე მოქმედებენ. ერთი სხეულის ზემოქმედების შედეგად მეორეზე, შესაძლებელია, სხეული ამოძრავდეს ან გადაადგილდეს.

აღწერე მოცემული ფოტოსურათები:

კარების გასაღებად როდის დაგჭირდება **მოქაჩვა** და როდის - **ბიძგი?**

რა მოქმედებით დაიძვრება ეს ეტლი? **მოქაჩვით, ბიძგით** თუ **მიწოლით?** წინ გადაადგილდება თუ უკან?

რა მოქმედებით ამოძრავდება ეს ჩემოდანი?

რა მოქმედებით შეძლებს გოგონა ბიჭის დახმარებას?

დაკვირვება: **მოქაჩვა** თუ **ბიძგი?**

✓ დააკვირდი შენი საკლასო ოთახის კარს. რა დროს შეაღებ და რა დროს გამოაღებ კარს? რომელი სხეული მოქმედებს რომელზე?

✓ დააკვირდი შენი საკლასო ოთახის ფანჯარას. რა მოქმედება სჭირდება ფანჯრებს გასაღებად?

დაიმახსოვრე:

როცა ერთი სხეული მეორე სხეულზე მოქმედებს, ის იცვლის ადგილს - შეიძლება გადაადგილდეს წინ ან უკან, მარცხნივ ან მარჯვნივ.



1.16 დღე და ღამე

ღამეა.
ეს **მთვარე** და **ვარსკვლავებია.**

დღეა.
ეს **მზეა.**

დაიმახსოვრე: დღე მზე ანათებს.
ღამე კი ცაზე - მთვარე და ვარსკვლავებია.



დილა შუადღე საღამო ღამე

იმსჯელე:

სკოლაში წასასვლელად რომ ემზადები, დღეა თუ ღამე?
დღის განმავლობაში რას საქმიანობ?
რისი გაკეთება არ შეგიძლია ღამე?

1.17 კვირის დღეები

შეხედე გაკვეთილების ცხრილს. რომელ დღეებში ისვენებ? რომელ დღეებში სწავლობ?

ორშაბათი
სამშაბათი
ოთხშაბათი
ხუთშაბათი
პარასკევი

შაბათი
კვირა

დაიმახსოვრე: კვირაში გვაქვს შვიდი დღე. კვირის პირველი დღეა **ორშაბათი,** კვირის ბოლო დღე **კვირაა.**

იმსჯელეთ კვირის დღეების მიხედვით:

გუშინ იყო - ? **დღეს** არის - ? **ხვალ** იქნება - ?

„სმაილები“

სმაილების დახმარებით დაასახელე:
როგორ ხასიათზე ხარ დღეს?
კიდევ რომელ დღეს იყავი მსგავს ხასიათზე?

მოუსმინე და გამოიცანი სწორი წინადადება.
არასწორი გაასწორე.

დაასკანერე →

1.18 ჩემი საყვარელი ამინდი

როგორ ტანსაცმელს ჩაიცვამ ამ ამინდების დროს?
როგორი ამინდია **დღეს**? როგორი ამინდი იყო **გუშინ**?

წელიწადის განმავლობაში სხვადასხვა ამინდია. სხვადასხვა ამინდის დროს გარემოში ცვლილებაა: ხან **მზეა,** ხან **მოღრუბლულია,** ხან **ქარია,** ხან **თოვლი** და ხანაც **წვიმა.**

„ვისწავლოთ ამინდი“ დაასკანერე:

დახატე შენი საყვარელი ამინდი და წარუდგინე კლასს. ახსენი, რატომ გიყვარს?

„ღრუბლები“ დაასკანერე:

მოუსმინე მოთხრობას.
შენი წარმოსახვით დახატე ღრუბლები.

1.19 წელიწადის დროები

გაზაფხული, ზაფხული, შემოდგომა და **ზამთარი** წელიწადის დროებია. წელიწადის სხვადასხვა დროს სხვადასხვა ამინდია.

გაზაფხული ზაფხული შემოდგომა ზამთარი

დაიმახსოვრე: გაზაფხულზე თბილა, ბუნება იღვიძებს. ზაფხულში ცხელა. ღამე მოკლეა, დღე კი გრძელი. შემოდგომაზე სითბოს სიცივე ცვლის. ხეებს ფოთლები სცვივა. ეს ფოთოლცვენაა. ზამთარი წელიწადის ცივი დროა. ზამთარში ღამე გრძელია, დღე კი - მოკლე.

ანიმაცია „წელიწადის დროები“ → დაასკანერე

უყურე ანიმაციას. იმსჯელე შენი საყვარელი წელიწადის დროს შესახებ.

შექმენი აპლიკაცია - **„წელიწადის დროები“**

წარუდგინე კლასს. იხილე ნიმუშები.

დააკვირდი ფოტოებს.
წელიწადის რომელ დროს რას ჩაიცვამდი? რატომ?

სავარჯიშო: დაასკანერე →

„წელიწადის დრო და ტანსაცმელი“

1.20 ცოცხალი ორგანიზმები
მცენარეები, ცხოველები, სოკოები

მცენარეები

ხეები, ბუჩქები, ბალახი, ყვავილები **მცენარეებია.** ისინი გარემოში გვხვდება. გარემოს ალამაზებენ და აჯანსაღებენ. მცენარეებით ადამიანები და ცხოველები იკვებებიან.

მცენარეები შედგება სხვადასხვა ნაწილისაგან.

გოგრა მცენარეა. ის სასარგებლოა. გოგრის ნაწილებია: **ფესვი, ღერო, ფოთოლი, ყვავილი, ნაყოფი.**



ბალახი, ბუჩქი და **ხე** ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ზომით, ფორმითა და ფერით.

ეს ხეხილის ბაღია.

ეს ბოსტანია.

დაიმახსოვრე: ხილი და ბოსტნეული სასარგებლოა. სასურველია ყოველდღიურად მიირთვა, ადვილად არ გაცივდები და ჯანმრთელი იქნები.

მოუსმინე წინადადებებს. დაასკანერე
გამოიცანი სწორი წინადადება.
არასწორი წინადადება გაასწორე.

ცხოველები

დაასკანერე →

გარემოში ბინადრობენ განსხვავებული ფორმის, ზომისა და ფერის ცხოველები და ფრინველები. გარემოს, სადაც ისინი ბინადრობენ, **საარსებო გარემო** ჰქვია.

ცხოველებს გააჩნიათ **თავი, ტანი** და **კიდურები.** ზოგიერთს აქვს **კუდი.** კიდურების საშუალებით მოძრაობენ და გადაადგილდებიან. ფრინველების წინა კიდურები **ფრთებია.** ისინი ფრთებით დაფრინავენ.

ეს თუთიყუშია.



ეს ცხენია.

ზოგი ცხოველი ადამიანმა მოიშინაურა. მათ **შინაურ ცხოველებს** უწოდებენ. მათზე ადამიანები ზრუნავენ.

დაასახელე ფოტოზე მოცემული შინაური ცხოველები და მათი ნაშიერები.

დაასახელე მხოლოდ გარეული ცხოველები და გაუზიარე მეწყვილეს.

გარემოში **გარეული** ცხოველები ბინადრობენ. ისინი თავად მოიპოვებენ საკვებს და იწყობენ საბინადრო გარემოს.

გაიხსენე: სად შეგიძლია მათი ნახვა?

სავარჯიშო: დაასკანერე →

შინაური თუ გარეული? ამოიცანი.

სოკოები

სოკოები ცოცხალი ორგანიზმებია. ისინი განსხვავებული ფორმისა და ზომისაა. მათ არ გააჩნიათ ფესვი, ღერო და ფოთოლი. ზოგიერთი მათგანი საზიანოა, ზოგი კი - სასარგებლო. სოკოები მრავალნაირია. არსებობს **ქუდიანი სოკოები.** ზოგი მათგანი გამოიყენება საკვებად და გემრიელია. შეგიგროვებია სოკოები?

ნიყვი

ფრთხილად! ზუსტად უნდა იცოდე, რომელი მათგანი გამოიყენება საკვებად.

მანჭკვალა

მანჭკვალას მატყუარა

გაიხსენე: სკოლის ეზოში ან სახლის მიმდებარედ რომელი სოკო შეგინიშნავს? წელიწადის რომელ დროს? აღწერე მისი საბინადრო გარემო.

სოკოებს უყვართ თბილი და წვიმიანი ამინდი. ისინი ტყის გარემოს ეგუებიან. ზოგიერთი მათგანი ხეზე ან ხის მორზე ბინადრობს.

გინახავს ობის სოკო? ის მცირე ზომისაა. არ ჰგავს ქუდიან სოკოებს. მრავლდება აბაზანაში. ოთახებში, წიგნებზე, ავეჯზე, საკვებზე, მათ შორის, პურზე, ლიმონზე და ა.შ. ის საზიანოა.

რეფიქრე შეადარე ერთმანეთს ქუდიანი და ობის სოკო. როგორ გარემოში ბინადრობენ?

მინდა მეტი ვიცოდე: დაასკანერე:

შეიტყვე მეტი სოკოების შესახებ.

1.21 რომელი ცოცხალი ორგანიზმები გვხვდება სკოლის ეზოში?

დააკვირდი სხეულებს. რომელი მათგანი გხვდება შენი სკოლის ეზოში? რომელია ცოცხალი სხეული? აღწერე, როგორ საარსებო გარემოში ბინადრობენ ისინი?

შეისწავლე შენი სკოლის ეზოში სხეულები. მოაწყვე პატარა ექსკურსია თანაკლასელებთან ერთად.

რა სხეულები გვხვდება შენი **სკოლის ეზოში?**
ცოცხალი თუ არაცოცხალი?
არაცოცხალი რა მასალისგანაა დამზადებული?
აღწერე **ცოცხალი ორგანიზმები** და მათი **საარსებო გარემო.**

შექმენი ნახატი/აპლიკაცია - „ჩემი სკოლის ეზოს ბინადრები“ და წარუდგინე კლასს.

აპლიკაციისთვის შეგიძლია გამოიყენო ფოთლები. იხილე ნიმუშები.

დისკუსია: „მცენარეების დარგვა“

ანუკიმ და ანდრიამ სთხოვეს მასწავლებელს, დაერგოთ მცენარეები სკოლის ეზოში.
მან მოუწონა სურვილი. ახსენი რატომ?

„ვსწავლობთ თამაშით“

შექმენი ელექტრონული ნახატი - **„ჩემი სკოლის ეზოს გარემო“** და აღწერე. მიმდინარეობა:

1. შეარჩიე გარემო.
2. შეარჩიე ფრინველები, ცხოველები, მცენარეები.
3. დაურთე ხმები (მაგალითად: ჩიტების).
4. წარუდინე კლასს.

1.22 რომელი ცოცხალი ორგანიზმები გვხვდება სახლის მიმდებარედ?

დააკვირდი მოცემულ ფოტოებს. რომელი სხეული არ გვხვდება შენი სახლის მიმდებარედ?
რომელია ცოცხალი და რომელი არაცოცხალი?
რისთვის გამოიყენება ეს სხეულები?
ივარაუდე, რა მასალისგანაა დამზადებული.

დახატე, რა სხეულებს ისურვებდი სახლთან ახლოს. იმსჯელე, რა მასალისგან მზადდება ისინი? ნახატი წარუდგინე კლასს.

იფიქრე:

დააკვირდი მოცემულ ფოტოებს. შენი აზრით, რატომ უნდა დავასუფთავოთ გარემო? სახლის მიმდებარედ გხვდება ნაგავი? ვინ ზრუნავს სისუფთავეზე?

სავარჯიშო: დაასკანერე

მოუსმინეთ/უყურეთ ვიდეოს - „ერთი სახლი“

მოიფიქრე, რა შეიძლება გააკეთოთ შენ და შენმა თანაკლასელებმა დედამიწის გადასარჩენად?

1.23 რატომ სუფთა გარემო?

გარემოს დაცვა სჭირდება. დაბინძურებულ გარემოში ცოცხალი ორგანიზმები შეიძლება დაავადდნენ და დაიღუპონ. **ცოცხალი ორგანიზმების არსებობისათვის აუცილებელია სუფთა გარემო.**

დაფიქრდი: რისი გაკეთება შეგიძლია შენ და შენს თანაკლასელებს გარემოს სისუფთავის დასაცავად?

დააკვირდი ფოტოსურათებს. დაასახელე ფოტოსურათის ნომრები, რომლებშიც სუფთა გარემო გვხვდება. რომელი ცოცხალი ორგანიზმები გხვდება ამ გარემოში?

1

2

3

4

5

6

დაიმახსოვრე: თუ იზრუნებ გარემოზე და დაიცავ სისუფთავეს, ბევრ ცოცხალ ორგანიზმს შეუნარჩუნებ სიცოცხლეს. სუფთა გარემო შესაძლებლობას აძლევს ორგანიზმებს, იარსებონ და გამრავლდნენ.

22 აპრილი დედამიწის დღეა.
დავიცვათ „ჩვენი სახლი“.

მოუსმინე სიმღერას - „დედამიწა დაიღალა“

სავარჯიშო: დაასკანერე

რატომ დაიღალა დედამიწა?
რა იწვევს დაბინძურებას?
რატომაა დედამიწა ჩვენი სახლი?

„ვსწავლობთ თამაშით“
შექმენი ნახატი - სუფთა საარსებო გარემო და აღწერე:

1. შეარჩიე გარემო.
2. შეარჩიე ფრინველები, ცხოველები, მცენარეები.
3. ცხოველებს დაურთე ხმები.
4. წარუდინე კლასს.

1.24 როგორ დავიცვათ სისუფთავე შინ და გარეთ?

დაასკანერე →

ანდრია და თედო პაპა

თედო პაპა ანდრიას მეზობელია. ის მაშინ იღვიძებს, როცა ანდრიას ჯერ კიდევ სძინავს. ასუფთავებს ეზოს და ნაგავს ურნაში ყრის.

ანდრია მამიკოს მიჰყავს სკოლაში. გზაში მან გამოიყენა ცხვირის ხელსახოცი და ჩააგდო ურნაში. მამიკომ ანდრია შეაქო, რომ გარემოსაც დაეხმარა, ადამიანებსაც და თედო პაპასაც შეუმსუბუქა სამუშაო.

უპასუხეთ შეკითხვებს:

- ✓ რატომ შეაქო მამამ ანდრია?
- ✓ რატომ უნდა ჩავყაროთ ნაგავი ნაგვის ურნაში?
- ✓ როგორ უმსუბუქებს სამუშაოს ანდრია თედო პაპას?
- ✓ შეგინიშნავს დაბინძურებული ადგილები სახლიდან სკოლამდე ან პირიქით?
- ✓ აღწერე, როგორ იცავ გარემოს.

დაიმახსოვრე: სისუფთავის დაცვა აუცილებელია შინ და გარეთ. გაუფრთხილდი გარემოს, ნაგავი ყოველთვის ნაგვის ურნაში მოათავსე.

დაასკანერე →

ჩიტების სახლი

სახლში უამრავ სხეულს იყენებ. ზოგი მათგანისგან გრჩება მისი ნაწილი. სად მიგაქვს?
დაფიქრებულხარ, გადაგდებამდე შეიძლება თუ არა მისი კიდევ გამოყენება? - უთხრა დედამ ანუკის.
ანუკიმ დედისგან ისწავლა, როგორ აჩუქოს მეორე სიცოცხლე ნარჩენ სხეულებს. მათ ერთად დაამზადეს **ჩიტების სახლი.**

შენც შეგიძლია უფროსთან ერთად დაამზადო ჩიტების სახლი. გარემოსაც დაეხმარები და ჩიტებსაც.

როგორ გავაკეთოთ ჩიტების სახლი და საკენკის ჩასაყრელი ნარჩენებისგან - „ჯადოსნური თითები“

შეასრულე სავარჯიშო: დაასკანერე: →

1.25 ჰიგიენის დაცვა

დაასკანერე →

მარიამის ბაბუა

მარიამს ძალიან უყვარს თავის ბაბუა. მისი ბაბუა სამსახურიდან დაბრუნებისას პირველ რიგში ხელებს იბანს და ემზადება სავახშმოდ ოჯახთან ერთად. შემდეგ კი დაძინებამდე ერთად უყურებენ ტელევიზორს.

უპასუხეთ შეკითხვებს:

- ✓ რატომ იბანს ბაბუა ხელებს პირველ რიგში?
- ✓ როდესაც სკოლიდან ბრუნდები, იბან ხელებს?
- ✓ დღის განმავლობაში, როდის იბან ხელებს კიდევ?

დაიმახსოვრე: ჭუჭყიან საგანთან შეხების შემდეგ, ჭამის წინ და ჭამის შემდეგ, სკოლიდან დაბრუნებისას, ტუალეტით სარგებლობის შემდეგ, საყვარელ ცხოველთან თამაშის შემდეგ აუცილებელია ხელების საპნით გულდასმით დაბანა.

მინდა მეტი ვიცოდე: დაასკანერე: →

ანიმაცია - **„ხელის დაბანის შესახებ“**

ხელების დაბანის „5 ოქროს წესი“:

① ხელებს ვისველებთ გამდინარე წყლით;
② ვიყენებთ საპონს;
③ ხელები გაიქაფე კარგად 20 წამი;
④ ჩამოიბანე ქაფი გამდინარე წყლით;
⑤ შეიმშრალე ხელები სუფთა ხელსახოცით ან შენი პირსახოცით.



თანაკლასელთან ერთად შექმენი ნახატი/პლაკატი - „ხელებს ვიბან, როცა ...“ და წარუდინე კლასს.

თემა 1

სიტუაციური ამოცანა

სკოლიდან დაბრუნებული ანდრია მამამ ძალიან გაახარა. ერთ წელიწადში ახალ სახლში უნდა გადავიდეთო. ახალი სახლი თავის სკოლასთან ისევ ახლოს იქნება. მამამ სახლის ეზოს მაკეტიც აჩვენა.

დაიმახსოვრე: მაკეტი არის შემცირებული ნიმუში, რომლის მიხედვითაც შენდება სახლები, ეზოები და სხვა.

ყურადღებით დააკვირდი ანდრიას ახალი სახლის ეზოს მაკეტს და უპასუხე შეკითხვებს:

რომელი ცოცხალი და არაცოცხალი სხეულები გვხვდება ანდრიას ახალი სახლის ეზოში? შეადარე შენი სკოლის ეზოს სხეულებს. როგორ შეიცვლება მაკეტი წელიწადის დროების მიხედვით? რა უნდა გაკეთდეს ეზოს სისუფთავის შესანარჩუნებლად?

იმსჯელე: წარმოიდგინე, რომ შენ შეგიძლია ანდრიას ახალი სახლის მაკეტის ცვლილება. რას შეცვლიდი? რომელ სხეულს ან სხეულებს დაამატებდი ეზოში? რატომ? განსაზღვრე, შენ მიერ დამატებული სხეულები სტადიონის რომელ მხარეს განთავსდებოდა? პასუხი დაასაბუთე.

თემა 2

ადამიანი

2.1 ჩემი სხეული

ეს საბაა. ეს კი ანუკი.

მათ **ფეხებით** შეუძლიათ სიარული და სირბილი. **ხელებით** წერა. **თვალებით** კითხვა და ყურადღებით უსმენენ **ყურებით** მასწავლებელს. როცა შიათ, **პირი** და **ხელები** ეხმარებათ, გემრიელად ისადილონ. **მათი სხეული შედგება: თავის, კისრის, ტანის, ორი ხელისა და ორი ფეხისაგან.**

? გაიხსენე, შენ კიდევ რისი გაკეთება შეგიძლია ხელებით, ფეხებით, თვალებითა და ყურებით?

დააკვირდი ფოტოებს. ჩამოთვალე, სხეულის რა ნაწილები მონაწილეობს წერისას?

გიყვარს ცურვა ან ცეკვა? ჩამოთვალე, სხეულის რომელი ნაწილები მონაწილეობენ ცურვისას ან ცეკვისას?

2.2 უფროსი, მე და უმცროსი

დაასკანერე →

ჩემი ოჯახი

მე მარიამი ვარ. ამბობენ, დედიკოსავით ცისფერი თვალები და მამიკოსავით სწორი ცხვირი მაქვს. ჩემი ძამიკო ჩემზე უმცროსია. ხელს როცა ჩამკიდებს, მისი ხელი ჩემს ხელზე პატარაა. მეგობრები მეუბნებიან, რომ დედიკოს ძალიან ვგავარ. სიმაღლით კი მასზე დაბალი ვარ. ძალიან მიყვარს, როდესაც ოთხივე ერთად ვატარებთ მთელ დღეს.

ჩემი სანდრო მასწავლებელი მამიკოსავით მაღალია და თაფლისფერი თვალები აქვს. მისი გაკვეთილები საინტერესოა.

ეს მარიამის ოჯახია. რა საერთო ნიშნები აქვთ? შეადარე ისინი ერთმანეთს გარეგნულად.

გარეგნულად შეადარე ერთმანეთს ძმები - უფროსი სანდრო და უმცროსი საბა.

2.3 მარჯვნივ, მარცხნივ, წინ და უკან



ანუკის ნახატის მიხედვით იმსჯელეთ, თავის სახლიდან სკოლამდე ყოველ დილით როგორ მოძრაობს ის.

დაიმახსოვრე: ქუჩაში მოძრაობის დროს შენი მარჯვენა ხელი ქუჩის **მარჯვენა მხარეს** მიგანიშნებს, ხოლო მარცხენა - ქუჩის **მარცხენა მხარეს.** შენი სახის პირდაპირ ქუჩის **წინა მხარეა,** ხოლო ზურგი **უკანა მხარეს** გიჩვენებს.

სავარჯიშო: დაასკანერე

„მარჯვენა და მარცხენა“

მოუსმინე ვიდეოს „მარცხენა თუ მარჯვენა“.

მარკო-პატარა მაიმუნია. მასწავლებელი **ბუ** ყველას ამეცადინებს, მათ უნდა ისწავლონ მარჯვენა და მარცხენა.

მოუსმინე მოთხრობას და იმსჯელე:

✓ მარკოს თანაკლასელებმა იციან მარჯვენა და მარცხენა? მარკომ?

✓ დაეხმარა მასწავლებელი თავის მოსწავლეებს, ესწავლათ მარცხენა და მარჯვენა?

✓ აჩვენე შენს თანაკლასელებს, რომელი ხელი გაქვს მარჯვენა და რომელი მარცხენა.

2.4 შეგრძნების ორგანოები



დაიმახსოვრე: თვალი, ცხვირი, ყური, ენა, კანი - შეგრძნების ორგანოებია.

მოუსმინე წინადადებებს.
გამოიცანი სწორი წინადადება.
არასწორი წინადადება გაასწორე:

- ✓ თვალით შემიძლია მუსიკის მოსმენა.
- ✓ ცხვირით შემიძლია ბანანის ჭამა.
- ✓ ყურებით შემიძლია ტელევიზორის ყურება.
- ✓ კანის საშუალებით ვგრძნობ, როცა ძალიან ცხელა.
- ✓ სამზარეულში გემრიელ სადილს ამზადებენ,

ამას ყნოსვით ვხვდები.

თამაში
„შეგრძნების ორგანოები“

დაამზადე შენი ხელით.
იხილე ნიმუში.

აირჩიე ერთ-ერთი
კოვზი და დაასახელე,
ამ ორგანოთი რისი
გაკეთება შეგიძლია.
სცადე ყველა
დანარჩენზეც.
გაუზიარე
თანაკლასელებს.

2.5 რაში მეხმარება თვალები?

თვალებით ვკითხულობთ.

ქუჩაში მოძრაობისას თვალებით ვამჩნევთ **შუქნიშანს.**
დააკვირდი ფოტოებს. ამ დროს შესაძლებელია ქუჩის გადაკვეთა?

დაიმახსოვრე: ქუჩის გადაკვეთამდე გაიხედე მარჯვნივ, შემდეგ მარცხნივ.

სიტუაციური ამოცანა - **„კომპიუტერთან“**

მარის მამიკომ სთხოვა, მეცადინეობისას წიგნი და რვეული თვალებთან ახლოს არ მიიტანოს. ასევე კომპიუტერთან დიდხანს არ გაჩერდეს. მარი გაიბუტა. ეცადეთ აუხსნათ მარის მამის რჩევა.

იმსჯელეთ ჯგუფში.

2.6 რაში მეხმარება ყურები?

ყურებით გვესმის.

დაიმახსოვრე: ყურებს გაფრთხილება სჭირდება. ყურები ბამბის ჩხირით ფრთხილად უნდა გამოიწმინდო.

აღწერე ფოტოსურათი. რას ურჩევ ანდრიას? გაუზიარე თანაკლასელს.

სავარჯიშო: დაასკანერე →

მოუსმინე გაზაფხულის ფრინველების ხმებს.

2.7 ყურსასმენი ქუჩაში - ფრთხილად!

1

2

? შენი აზრით, რომელ ფოტოზე მოძრაობს მარიამი ქუჩაში წესების დაცვით? რატომ ფიქრობ ასე?

დაიმახსოვრე: ქუჩაში ყურსასმენით სიარული საშიშია. ამ დროს ქუჩის ხმაური აღარ გესმის. უნდა იყო ფრთხილად ქუჩის გადაკვეთისას.

დააკვირდი ფოტოსურათებს. აღწერეთ თითოეული.
ურჩიეთ როგორ მოიქცნენ ქუჩის გადაკვეთისას?



შექმენი პოსტერი/ნახატი -
„ყურსასმენი ქუჩაში - ფრთხილად!“

2.8 რა შემიძლია ყნოსვით?

ცხვირით შეგიძლია ისუნთქო. ცხვირით **ყნოსვაც** შეგიძლია.

სიტუაციური ამოცანა - „ყველაზე გემრიელი“

ანდრიას ძალიან უყვარს საზაფხულო არდადეგები. ყველაზე დიდხანს მაშინ რჩება ბებოსთან. ციცო ბებო ანდრიასთვის საყვარელ კერძებს ხშირად ამზადებს. მოშიებულმა ზუსტად იცის, სამზარეულოში რომელი კერძი მზადდება. მას ადვილად შეუძლია ამ კერძის ამოცნობა.

სავარჯიშო

✓ **რომელი ორგანო ეხმარება ანდრიას ბებოს მომზადებული კერძის ამოცნობაში?**

✓ **რატომ შეუძლია ადვილად ამოცნობა?**

დაიმახსოვრე: ყნოსვას დახმარება შეუძლია.

ზოგიერთ ძაღლს კარგად აქვს განვითარებული ყნოსვის ორგანოები. ისინი ეხმარებიან ადამიანებს დაკარგული ნივთების პოვნაში. ყნოსვა მათ საკვების მოძიებაშიც ეხმარება.

სავარჯიშო: დაასკანერე

უსიამოვნო თუ სასიამოვნო სუნი?

2.9 როგორ აღვიქვამ გემოს?

ხილი სასარგებლოა. ის ზრდაში გეხმარება. ყველა ხილს სხვადასხვა **გემო** აქვს. მოდი, დავაგემოვნოთ.

დაიმახსოვრე: ადამიანს შეუძლია ამოიცნოს სხვადასხვა გემოს საკვები. მათ შორის: **მჟავე, ცხარე, ტკბილი, მწარე, მარილიანი** და სხვა.

„გემოებით თამაში“

იცოდი?
ჩვენს ტვინს შეუძლია საკვების გემოს დამახსოვრება. ჩაატარე ექსპერიმენტი.

აიღე რამდენიმე ხილი, შეიძლება სხვა საკვებიც. აუხვიე თანაკლასელს თვალები. დაგემოვნების შემდეგ მან უნდა დაასახელოს ხილი და ახსნას მისი გემო.

დაიმახსოვრე:
„ნუ შეჭამ ბევრ ტკბილს, გაუფრთხილდი კბილს“.
კბილები საკვების დაქუცმაცებისთვისაა საჭირო. დაძინებამდე დაიცავი პირის ჰიგიენა და გამოიხეხე კბილები. ჯანმრთელი კბილები ჯანმრთელობაა.

2.10 რა მნიშვნელობა აქვს კანს?

დაკვირვება - **„კანით შევიგრძნობთ“**

სხვადასხვა მარცვლეული მოათავსეთ სხვადასხვა ბუშტში და ხელით შეხებისას განსაზღვრეთ, როგორია: **მსხვილი, წვრილი, რბილი, მაგარი?**

იმსჯელეთ: რისი საშუალებით ხვდებით?



კანი შეგრძნების ორგანოა. მისი საშუალებით ვგრძნობთ, როგორია სხეული. რბილია თუ მაგარი, დიდია თუ პატარა და ა.შ.

ექსპერიმენტი - **„გამოვიცნოთ სხეული“**

ჩაატარეთ სახალისო ექსპერიმენტი. მეორადი გამოყენების ყუთი გამოჭერით, როგორც **1** სურათზეა. დაიხმარეთ უფროსი. წინ დაალაგეთ სხვადასხვა სხეული, როგორც **2** სურათზეა. შეეცადეთ, გამოიცნოთ სხეული, როგორც **3** სურათზეა. ყველამ ამოიცნოს თითო სხეული, როგორც **4** სურათზეა.

2.11 სითბოსა და სიცივის მოქმედება ჩემს სხეულზე

სავარჯიშო:

დააკვირდი მოცემულ ფოტოსურათებს. შეადარე ისინი ერთმანეთს. შენი აზრით, რატომ აცვიათ ასე? წელიწადის რომელი დროა **№1 ფოტოზე?**
№2 ფოტოზე?
შეიძლება, **№1 ფოტოს** გოგონა თავისი ტანსაცმლით, წარმოვიდგინოთ **№2 ფოტოზე** გამოსახულ გარემოში? რომელი ორგანოთი შევიგრძნობთ ამინდს?

1

2

დაიმახსოვრე:
სიცხეში ჩვენს ორგანიზმს მეტად ესაჭიროება წყალი.

დაიმახსოვრე: ცივი ამინდის დროს ისუნთქე ცხვირით. ცხვირით თბება ცივი ჰაერი და ისე მიეწოდება შენს ორგანიზმს. პირით სუნთქვის დროს გაგიცივდება ყელი და ავად გახდები. წელიწადის ყველა დროს უნდა ჩაიცვა შესაბამისად.

2.12 პირადი ჰიგიენა და ჯანმრთელობა

უძველესი დროიდან ითვლებოდა, რომ ადამიანი ჯანმრთელია მანამ, სანამ ჯანმრთელი აქვს კბილები. კბილებისა და ღრძილების ჯანმრთელობა, უდავოდ, დაკავშირებულია პირის ღრუს ჰიგიენასთან.

? როგორ დავიცვათ პირის ჰიგიენა?

კბილებს მოვლა სჭირდება. არ დაგავიწყდეს კბილების გამოხეხვა **დილით** და **საღამოს**. კბილების გახეხვის პროცედურამ არ უნდა დაიკავოს 3 წუთზე ნაკლები დრო. ქვედა კბილების გაწმენდის დროს სჯობს, ქვევიდან ზევით მიმართული მოძრაობით გამოვიყენოთ ჯაგრისი, ხოლო ზედა კბილების გასაწმედად კი პირიქით. კბილების შიდა ნაწილი უნდა გაიწმინდოს დიდი ყურადღებით.

სიტუაციური ამოცანა - **„ხელების დაბანა“**

სანდრო თამაშის შემდეგ მოშიებული მივიდა სახლში, გემრიელად ისადილა. საჭმელმა ხელები დაუსვარა და ჭამის შემდეგ დაიბანა. **რა შეცდომა დაუშვა მან და რატომ?**

დაიმახსოვრე:

✓ კანის სისუფთავისთვის აუცილებელია საპნით და თბილი წყლით დაბანა.

✓ ხელ-პირი ყოველ დილა-საღამოს უნდა დაიბანო.

✓ ყურების სისუფთავის შესანარჩუნებლად ბამბიანი ჩხირით უნდა გამოიწმინდო.

✓ არ დაგავიწყდეს დროულად ფრჩხილების დაჭრა ხელების სისუფთავისთვის.

2.13 ჩემი პირადი ნივთები

დაასკანერე →

სიტუაციური ამოცანა - **„თერმოსი“**

დათოს ძალიან მოსწონს გიორგის **თერმოსი.** ის მეტალისაა. დათოს კი **მინის თერმოსი** აქვს, მასში წყალი მალე თბება, არადა დათოს ძალიან სწყურია. როდესაც გიორგი კლასიდან გავიდა, დათომ დასტაცა გიორგის თერმოსს ხელი და წყალი დალია.

სწორად მოიქცა დათო? რას ურჩევდი მას? როგორი მასალისგან არის დამზადებული გიორგის თერმოსი?

დაიმახსოვრე: სისუფთავისა და ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად აუცილებელია პირადი ნივთების გამოყენება.

სიტუაციური ამოცანა - **„ქოლგა“**

მარიამმა მამიკოს სთხოვა, ეყიდა მისთვის ქოლგა. მამიკომ სურვილი შეუსრულა. მარიამს ძალიან მოსწონს პირადი ნივთი.

იფიქრე, როგორი მასალისგან უნდა იყოს დამზადებული მარიამის ქოლგა? მისი ბოტები? როგორი ამინდის დროს გამოიყენებს მარიამი ქოლგას? შეიძლება მარიამმა ათხოვოს თავისი ქოლგა სხვას?

სავარჯიშო:

იმსჯელე, როგორი მასალისგან უნდა დამზადდეს სასკოლო ჩანთა? ზამთარში სატარებლად როგორი მასალისგან დამზადებული ჩანთის ტარებაა უკეთესი? გაზაფხულზე?

2.14 რატომ უნდა ვიცხოვრო სუფთა გარემოში?

სუფთა გარემოში ცხოვრება ჯანმრთელობის საწინდარია. ახსენით, რას ნიშნავს ეს სიტყვები?

დაიმახსოვრე: პირველ რიგში, აუცილებელია, საკუთარი ოთახი და შენი საკლასო ოთახი მოაწესრიგო, გაუფრთხილდე იმ გზასა და ადგილებს, სადაც შენ გიხდება ცხოვრება.

იმსჯელე:

შენი აზრით, ვინ უნდა მოაწესრიგოს, შენი ოთახი? შენი საკლასო ოთახი? რა შეგიძლიათ შენ და შენს თანაკლასელებს, როგორ უნდა შეინარჩუნოთ სისუფთავე გარემოში? დააკვირდი მოცემულ ფოტოსურათებს და აღწერე.

ბავშვის ოთახი

საკლასო ოთახი

„ვსწავლობთ თამაშით“

შექმენი ელექტრონული ნახატი - **„სუფთა საარსებო გარემო“** და აღწერე. მიმდინარეობა:

1. შეარჩიე გარემო.
2. შეარჩიე ცოცხალი ორგანიზმები.
3. წარუდგინე კლასს.

2.15 რას ვაკეთებ გარემოს დასაცავად?

სახლში უამრავ სხეულს იყენებ. ზოგი მათგანისგან გრჩება გარკვეული ნაწილი. სად მიგაქვს? დაფიქრებულხარ, გადაგდებამდე შეიძლება თუ არა მისი კიდევ გამოყენება?

სავარჯიშო: დაასკანერე →

„როგორ გავაკეთოთ?“

უყურე ტელესკოლის გადაცემას. აირჩიე, რისი გაკეთება გსურს? დაიხმარე უფროსი. გაკეთების პროცესი უფრო სახალისო იქნება და გარემოსაც დაეხმარები.

დაიმახსოვრე: ადამიანებისათვის მნიშვნელოვანია, საცხოვრებელი გარემო იყოს სუფთა და ჯანსაღი. ყველას საზრუნავია გარემოს სისუფთავე. ადამიანებმა უნდა დარგონ მცენარეები და გაამწვანონ გარემო.

მალე არდადეგები დაიწყება . . .

არდადეგები მხიარულად უნდა გაატარო. ამ დროს სასიამოვნოა პიკნიკზე გასვლა. კეთილ საქმეს გაა-კეთებ, თუ თან წაიღებ ხელთათმანებსა და ნაგვის შესაგროვებელ პარკს, რათა შეაგროვო ნარჩენები და დაისვენო სუფთა გარემოში.

რჩევა:

არდადეგების პერიოდში უფროსთან ერთად გაფხვიერებულ და გამზადებულ ნიადაგში ჩარგე ყვავილების ჩითილები. დააკვირდი მცენარის ზრდა-განვითარებას. იმსჯელე, თუ რა პირობები სჭირდება აღმოცენებისთვის და როგორ იზრდება.

მარიამის ოჯახი არდადეგებზე

მარიამის ოჯახს ძალიან უყვარს არდადეგები. ზამთრის არდადეგებზე ისინი სათხილამურო მიდიან, ხოლო ზაფხულის არდადეგებს ზღვისპირა ქალაქში ატარებენ.

დააკვირდი ფოტოებს, შეადარე ისინი ერთმანეთს და უპასუხე შეკითხვებს:

✓ რა გარეგნული ნიშნებით განსხვავდებიან მარიამის ოჯახის წევრები ერთმანეთისაგან?

✓ რომელი ორგანოთი შეიგრძნობენ ისინი ამინდს?

✓ არდადეგებზე გასამგზავრებლად როგორ არჩევენ ტანსაცმელს ჩემოდანში ჩასაწყობად? რა პირადი ნივთები მიაქვთ თან?

✓ რომელ ორგანოებს იყენებენ თხილამურებზე სრიალისას? სირბილის დროს?

✓ რატომ უნდა დავიცვათ სისუფთავე ზღვის პირასა თუ მთაში?

ლექსიკონი

თემა 1

გაკვეთილი 1.7

სხეული - ჩვენ ირგვლივ არსებული ყველა საგანი.

გაკვეთილი 1.8

ცოცხალი - სუნთქავს, იკვებება, იზრდება, მრავლდება.

არაცოცხალი სხეული - არ სუნთქავს, არ იკვებება, არ მრავლდება.

გაკვეთილი 1.9

ბუნებრივი სხეული - ბუნებაში არსებობს.

ხელოვნური სხეული - ადამიანის მიერაა დამზადებული.

გაკვეთილი 1.10

ბუნებრივი მასალა - ბუნებაში მოიპოვება. მაგალითად: მატყლი და სხვა.

ხელოვნური მასალა - იქმნება ადამიანის მიერ.

გაკვეთილი 1.11



გამჭვირვალე - სხეული, რომელშიც სინათლის სხივს შეუძლია გასვლა.

არაგამჭვირვალე - სხეული, რომლის შიგნითაც სინათლეს არ შეუძლია გასვლა.

გაკვეთილი 1.12

მყარი სხეული - ისეთი სხეულებია, რომლებსაც ფორმა გააჩნია. შეიძლება იყოს დიდი, პატარა, რბილი, მაგარი.

გაკვეთილი 1.14



მოძრაობა - ცოცხალი სხეულები დამოუკიდებლად მოძრაობენ. არაცოცხალი სხეულები კი სხვების დახმარებით.

გაკვეთილი 1.15

სხეულებზე მოქმედება - ერთი სხეული როცა მეორე სხეულზე მოქმედებს, ის იცვლის ადგილს. შეიძლება გადაადგილდეს წინ ან უკან, მარცხნივ ან მარჯვნივ. სხეულის გადაადგილებისას, როცა მეორეს ეხება ან მოქაჩავს, ან მიაწვება ან უბიძგებს.

გაკვეთილი 1.16



მზე - არაცოცხალი სხეული, ის დღე ანათებს.

მთვარე, ვარსკვლავები - არაცოცხალი სხეულებია, ისინი ღამე ანათებენ.

გაკვეთილი 1.17



კვირა - კვირაში გვაქვს შვიდი დღე, კვირის პირველი დღეა ორშაბათი, კვირის ბოლო დღე კვირაა.

გაკვეთილი 1.18



ამინდი - დროს გარემოში ცვლილებაა: ხან მზეა, ხან მოღრუბლულია, ხან ქარია, ხან თოვლი და ხანაც წვიმა.

გაკვეთილი 1.19

წელიწადის დროები - გაზაფხული, ზაფხული, შემოდგომა და ზამთარი წელიწადის დროებია.

გაკვეთილი 1.20

საბინადრო გარემო - გარემოს, სადაც ცოცხალი ორგანიზმები ბინადრობენ, საარსებო გარემო ჰქვია.

გაკვეთილი 1.23

დედამიწის დაცვა - 22 აპრილი დედამიწის დღეა. მას დაცვა და მოფრთხილება სჭირდება.

თემა 2

გაკვეთილი 2.1

ადამიანის სხეული - ის შედგება: თავის, კისრის, ტანის, ორი ხელისა და ორი ფეხისაგან. სხეულს აქვს კიდევ სხვა ორგანოებიც.

გაკვეთილი 2.4



შეგრძნობის ორგანოები - არის: თვალი, ცხვირი, ყური, ენა, კანი.

გაკვეთილი 2.5

თვალები - მხედველობის ორგანოა. თვალებით ვხედავთ და ვარჩევთ საგნებს, ფერებს და სხვა.

გაკვეთილი 2.6

ყურები - სმენის ორგანოა.

გაკვეთილი 2.8

ყნოსვა - ცხვირითაა შესაძლებელი. ცხვირით ვასხვავებთ სხვადასხვა სუნამოს სურნელს ერთმანეთისგან.

გაკვეთილი 2.9

გემო - ადამიანს შეუძლია, ამოიცნოს სხვადასხვა გემოს საკვები. მათ შორის: მჟავე, ცხარე, ტკბილი, მწარე, მარილიანი და სხვა.

გაკვეთილი 2.10

კანი - შეგრძნების ორგანოა. მისი საშუალებით ვგრძნობთ, როგორია სხეული. რბილია თუ მაგარი, დიდია თუ პატარა და ა.შ.

ეკოკალენდარი

22 სექტემბერი - დღე ავტომობილის გარეშე, ეკოლოგიური აქცია.



22 სექტემბერი - მარტორქის მსოფლიო დღე.

4 ოქტომბერი - ცხოველთა დაცვის საერთაშორისო დღე.

6 ოქტომბერი - საარსებო გარემოს დაცვის საერთაშორისო დღე.

31 ოქტომბერი - შავი ზღვის დაცვის საერთაშორისო დღე.

11 დეკემბერი - მთის საერთაშორისო დღე.



19 თებერვალი - ვეშაპების დაცვის საერთაშორისო დღე.

27 თებერვალი - პოლარული დათვის საერთაშორისო დღე.

ეკოკალენდარი

3 მარტი - ველური ბუნების დაცვის მსოფლიო დღე.

14 მარტი, - მდინარეების დაცვის საერთაშორისო დღე.

18 მარტი - ნარჩენების გადამუშავების საერთაშორისო დღე.

20 მარტი - ბელურების საერთაშორისო დღე.

21 მარტი - ტყის საერთაშორისო დღე, ხის დარგვის საერთაშორისო დღე.

22 მარტი - წყლის რესურსების დაცვის საერთაშორისო დღე.

22 აპრილი - დედამიწის დღე.

23 მაისი - კუს მსოფლიო დღე.

ეკოკალენდარი

5 ივნისი - გარემოს დაცვის საერთაშორისო დღე.

8 ივნისი - ოკეანის მსოფლიო დღე.

15 ივნისი - ქარის მსოფლიო დღე.

21 ივნისი - ჟირაფის მსოფლიო დღე.

10 აგვისტო - ლომის მსოფლიო დღე.



12 აგვისტო - სპილოს მსოფლიო დღე.

19 აგვისტო - ორანგუტანგის მსოფლიო დღე.

22 აგვისტო - ფუტკრის დღე.

დანართი

გაკვეთილი	გვერდი	ვებ-მისამართი	QRკოდი
1.1	9	https://rb.gy/98xkx	
1.2	11	https://rb.gy/4jcjx	
1.6	19	https://rb.gy/bhbgb	
1.8	23	https://rb.gy/dukco	
1.8	23	https://rb.gy/35juz	
1.9	25	https://rb.gy/h12f3	
1.11	28	https://rb.gy/2eug6	

დანართი

გაკვეთილი	გვერდი	ვებ-მისამართი	QRკოდი
1.11	29	https://rb.gy/4iy91	
1.12	31	https://rb.gy/luker	
1.14	35	https://rb.gy/iieem	
1.17	41	https://rb.gy/alh51	
1.18	43	https://rb.gy/boxh9	
1.18	43	https://rb.gy/5vhtu	
1.19	44	https://rb.gy/wbx6c	

გაკვეთილი	გვერდი	ვებ-მისამართი	QRკოდი
1.19	45	https://rb.gy/dxmla	
1.20	47	https://rb.gy/5p39r	
1.20	48	https://rb.gy/2341m	
1.20	49	https://rb.gy/29olt	
1.20	51	https://rb.gy/o0ff1	
1.22	55	https://rb.gy/00e1v	
1.23	57	https://rb.gy/1xlaj	

დანართი

გაკვეთილი	გვერდი	ვებ-მისამართი	QRკოდი
1.24	58	https://rb.gy/4fkqo	
1.24	59	https://rb.gy/t90is	
1.24	59	https://rb.gy/s79hn	
1.25	60	https://rb.gy/47jsf	
1.25	60	https://rb.gy/83ff1	
2.2	66	https://rb.gy/9oqsz	
2.3	69	https://rb.gy/on9sq	

დანართი

გაკვეთილი	გვერდი	ვებ-მისამართი	QRკოდი
2.4	**71**	https://rb.gy/3s0ip	
2.6	**75**	https://rb.gy/93jt7	
2.8	**79**	https://rb.gy/wbjvg	
2.13	**88**	https://rb.gy/8dqm8	
2.15	**92**	https://rb.gy/p6d45	

გაყიდვა აკრძალულია

„ამ სახელმძღვანელოს გაყიდვის ფაქტის აღმოჩენის შემთხვევაში, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ ცხელ ხაზზე: (+995 32) 2 200 220”

www.triasi.ge

მე ვეუფლები მეცნიერებას!

მასწავლებლის წიგნი

მოსწავლის წიგნი

მოსწავლის რვეული

„დაფინანსებულია „მოსწავლეებისა და მასწავლებლების
სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფის პროგრამის ფარგლებში"

9 789941 962325